ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ
სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

Tbilisi City Municipality Legal Entity of Public Law
Tbilisi Emergency Medical Service Centre

KARR0131537022717

საქართველო, ქ. თბილისი, 0178, ქერჩის ქ. #8 ტელ/ფაქსი (0099 532) 254 70 88; 254 70 99; 254 70 08
#8 Kerch Str. 0178, Tbilisi, Georgia, Tel/Fax (0099 532) 254 70 88; 254 70 99; 254 70 08
info@temsc.gov.ge; www.temsc.gov.ge

№05/1468 **25 / სექტემბერი / 2017 წ.**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული საქალაქო სამსახურის საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის
მხარდაჭერის განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია გელაშვილს

ბატონო ილია,

თქვენი 2017 წლის 22 სექტემბრის №10-0117265259 წერილით გადმოგზავნილია ორგანიზაცია „FACT CHECK“-ის ფაქტ-მეტრის რეგიონალური ანალიტიკოსის ირმა ბახუტაშვილის განცხადება (21.09.2017 წლის №10/01172642742-01), რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ბრიგადების და დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის, მათი ხელფასის ოდენობის შესახებ.
აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გაწვდით შემდეგ ინფორმაციას განცხადებაში მითითებული საკითხების შესახებ:
2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით დედაქალაქს ყოველდღიურად ემსახურება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის 97 სამედიცინო ბრიგადა.
2017 წლის სექტემბრის მდგომარეობით ცენტრში დასაქმებულია:
- 375 უფროსი ექიმი, აქედან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში იმყოფება 4 თანამშრომელი;
- 392 უმცროსი ექიმი, აქედან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში, ასევე ანაზღაურების გარეშე შვებულებაში იმყოფება 23 თანამშრომელი;

- 363 მძღოლი.

დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურება შეადგენს:

- უფროსი ექიმი საათში 7 ლარი 40 თეთრი;
- უმცროსი ექიმი საათში 6 ლარი;
- მძღოლი საათში 5 ლარი.

პატივისცემით,

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის (მერია) დირექტორი

მაკა გვარამია